

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/225
2022 წლის 20 მაისი

ქ. თბილისი

გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯეფექტურობის ანალიზის წესის დამტკიცების შესახებ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტისა და „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯეფექტურობის ანალიზის წესი“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი

ლევან დავითაშვილი

გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯეფექტურობის ანალიზის წესი

მუხლი 1

1. გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯეფექტურობის წესი განსაზღვრავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების მიზნებისთვის გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯეფექტურობის ანალიზის განხორციელების სახელმძღვანელო დებულებებს.

2. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ იგივე მნიშვნელობა, რაც „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინებს.

3. წინამდებარე წესი შეესაბამება „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონითა და ევროპარლამენტისა და საბჭოს ენერგოეფექტურობის შესახებ 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/27/EU დირექტივით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 2

1. გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯეფექტურობის ანალიზი „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების მიზნებისთვის უნდა მოიცავდეს ამ წესის მე-3 მუხლში მოცემულ ინფორმაციას.

2. „ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის, გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯეფექტურობის ანალიზი მოიცავს ეკონომიკურ ანალიზს, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალურ დანადგარებში ინვესტიციის და მათი ოპერირებისგან მიღებული რეალური ფულადი თანხის მიმოქცევის ფინანსურ ანალიზს.

3. სამინისტრო უფლებამოსილია სითბოს გენერაციის ოპერირებაზე პასუხისმგებელ კომპანიებს, სამრეწველო კომპანიებს, ცენტრალური გათბობისა და გაგრილების ქსელების ოპერირებაზე პასუხისმგებელ ქსელებს ან სხვა მხარეებს, რომლებზეც გავლენა იქონია განსაზღვრული სისტემის ფარგლებმა ან გეოგრაფიულმა ფარგლებმა, მოსთხოვოს ნებისმიერი იმ მონაცემების მიწოდება,



მუხლი 3

1. იმ შემთხვევაში, თუ იგეგმება მხოლოდ ელექტროენერჯის დანადგარის ან სითბოს აღდგენის შესაძლებლობის არმქონე დანადგარის მოწყობა, უნდა განხორციელდეს დაგეგმილი დანადგარების ან დაგეგმილი განახლების და ეკვივალენტური დანადგარების (რომელიც აწარმოებს იმავე რაოდენობების ელექტროენერჯიას ან თბურ ენერჯიას, მაგრამ აღადგენს ნარჩენების თბურ ენერჯიას და აწვდის თბურ ენერჯიას მაღალეფექტური კოგენერაციის ან/და ცენტრალური გათბობისა და გაგრილების ქსელების მეშვეობით) შედარება.
2. მოცემული გეოგრაფიული საზღვრების ფარგლებში, შეფასება უნდა ითვალისწინებდეს დაგეგმილ დანადგარებს და შესაბამისი არსებული ან პოტენციურ თბური ენერჯიის მოთხოვნის იმ წერტილებს, რომლებსაც შესაძლოა ენერჯია მიეწოდოთ დანადგარიდან, რაციონალური შესაძლებლობის გათვალისწინებით (მაგალითად, ტექნიკური განხორციელებადობა და მანძილი).
3. სისტემის საზღვრები უნდა მოიცავდეს დაგეგმილ დანადგარებს და შენობ(ებ)ისათვის და სამრეწველო პროცესში მისაწოდებელ სითბოს მოცულობას. ამ სისტემის საზღვრების ფარგლებში თბური ენერჯიისა და ელექტროენერჯიის მიწოდების ჯამური ხარჯები განისაზღვრება ორივე შემთხვევისთვის და შესაბამისად ერთმანეთს ედრება.
4. მისაწოდებელი სითბოს მოცულობამ უნდა მოიცვას სითბოს არსებული მოცულობა, რომელსაც მოიხმარს სამრეწველო დანადგარი ან არსებული ცენტრალური გათბობის სისტემა და, აგრეთვე, ურბანულ სივრცეებში გამოყენებული სითბოს მოცულობა და ხარჯი, რომლებიც წარმოიშობა შენობების ჯგუფის ან ქალაქის ნაწილის ახალი ცენტრალური გათბობის ქსელზე წვდომის ან/და მიერთების შემთხვევაში.
5. გათბობისა და გაგრილების სისტემების ხარჯეფექტურობის ანალიზი ეფუძნება დაგეგმილი დანადგარის აღწერას და დანადგარ(ებ)ის შედარებას, რაც უნდა მოიცავდეს ელექტრო და თბურ სიმძლავრეს იქ, სადაც რელევანტურია, საწვავის ტიპს, დაგეგმილ გამოყენებას და დაგეგმილი წლიური სამუშაო საათების რაოდენობას, ადგილმდებარეობას და მოთხოვნას ელექტროენერჯიასა და სითბოზე.
6. შედარების მიზნებისთვის, გათვალისწინებული უნდა იყოს თბურ ენერჯიაზე მოთხოვნა და თბური ენერჯიის მოთხოვნის მიმდებარე წერტილების მიერ გამოყენებული გათბობისა და გაგრილების სახეობები. შედარება უნდა მოიცავდეს დაგეგმილი და შედარებული დანადგარების ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ხარჯებს.
7. შედარების შედეგის მიზნებისთვის, დადებითი ხარჯეფექტურობის მქონე პროექტები არის ისეთი პროექტები, სადაც ეკონომიკურ და ფინანსურ ანალიზში აღრიცხული სარგებლის ჯამი აღემატება აღრიცხული ხარჯების ჯამს (ხარჯეფექტურობის ნამეტი).

